ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

11 თებერვლიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

სტალინი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



ნაწილი I

პარასკევი, 12 თებერვალი, 2016 №35 (6961) ფასი: 50 თეთრი

გოგი თოფაძე თინა ხიდაშელის დაკითხვას ითხოვდა?

გვ.2

„ბატონ გოგის ეწყინა, როდესაც თინიკომ თქვა, გოგი კიდევ არის პარლამენტშიო. ამაზე გააკეთა რეაგირება, თუმცა ფრაქციის თავმჯდომარისა და მინისტრის მხრიდან ამ ტიპის საჯარო განცხადებები საზოგადოებაში არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს“

ახალი სკანდალი „ქართულ ოცნებაში“

სისხლიანი გარჩევა რუსთაველზე

გუშინ, 11 თებერვალს, რუსთაველის გამზირზე სუპერმარკეტ „სმარტის“ დაცვის თანამშრომელი დაჭრეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სმარტის“ თანამშრომლებმა არაოფიციალურ საუბარში განუცხადეს, სუპერმარკეტის წინ „სმარტის“ დაცვის თანამშრომლებსა და რამდენიმე ახალგაზრდას შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენეს.

სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო დაცვის კიდევ ორმა თანამშრომელმა.

დაჭრილები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გვ.2

დავით დარჩიაშვილი: „საქართველოში რუსულ პროპაგანდას მთავრობა ხელს არ უშლის“

„რა მოხდება, ამის წინასწარმეტყველება მხოლოდ ლელა კაკულიას შეუძლია“

გვ.3

ლევან მურუსიძე: „220 მოსამართლიდან 204-მა მე მომცა ხმა. როგორ ვარ არალეგიტიმური?!“

„თურმე ერთი მამუკა ახვლედიანი ყოფილა მედროშე და დანარჩენები მშიშრები და ლაჩრები არიან“

ISSN 1987-9385

ვაჟა ბერიძე: „მომავალ პარლამენტში ოთხი ძალა იქნება წარმოდგენილი“

გვ.3

„ალტერნატივას ოდესიდან ჩერნოვეცკისა და ბურჭულაძის სახით გვთავაზობენ“

გვ.4

ბიზნესი მოგების გადასახადისგან თავისუფლდება

პეტრე მამრაძე: „კვირიკაშვილი ივანიშვილის ნების გამტარებლად რჩება“

გვ.3

მაგთიკომმა მე-4 თაობის ინტერნეტის სიჩქარე 2-ჯერ გაზარდა

მაგთიკომმა ყველა 4G სადგურზე მონაცემთა გადაცემის გამტარუნარიანობა ორჯერ გაზარდა, რაც ინტერნეტის თეორიულ მაქსიმალურ სიჩქარეს წამში 150 მეგაბიტამდე ზრდის.

დღეისათვის მაგთიკომს საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის ყველაზე მეტი 2G/3G/4G საბაზო სადგური აქვს (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით). ამას მე-4 თაობის ინტერნეტის უკვე ორჯერ გაზრდილი სიჩქარეც დაემატა და, შედეგად, მომხმარებელი მაგთიკომისგან იღებს საუკეთესო ქსელს, ხარისხსა და ინტერნეტის სიჩქარეს.

დავით დარჩიაშვილი: „საქართველოში რუსულ პროპაგანდას მთავრობა ხელს არ უშლის“

„რა მოხდება, ამის წინასწარმეტყველება მხოლოდ ლელა კაკულიას შეუძლია“

შორენა მარსაგიშვილი

შეიცვლის თუ არა საქართველოს საგარეო კურსს, გაიზარდა თუ არა ქვეყანაში რუსული პროპაგანდა, რას აპირებს ოპოზიცია და რას ითხოვენ ხელისუფლებისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი ესაუბრება.

დავით დარჩიაშვილი:

– საქართველოში რუსული პროპაგანდა გაძლიერდა. მედიასაშუალებების ნაწილი უკვე ღიად, დაუფარავად ატარებს კრემლის ინტერესებს და ამის ფონზე თავს პატრიოტებად გვაჩვენებს. გულში როგორც არ უნდა იცენ მჯიღი და სამშობლოს სიყვარულზე ისაუბრონ, მათი გზავნილები ერთი-ერთზე ემთხვევა რუსულ პროპაგანდას. როგორც რუსეთი საუბრობს დასავლურ შეთქმულებებზე, ზუსტად ასეთი ლექსიკა აქვთ ამ მედიასაშუალებებს.

ამის გარდა, უშუალოდ რუსული არხები საქართველოში მასობრივად ვრცელდება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რაც უარყოფითად მოქმედებს საქართველოს მოსახლეობაზე.

– რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ რუსული პროპაგანდა და რუსული არხები საქართველოს მოსახლეობაზე უარყოფითად მოქმედებს?

– ამ დაუფარავი პროპაგანდის პირდაპირი შედეგია, რომ საქართველოში ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა გაიზარდა. სამწუხაროა, რომ ამას ხელს ხელისუფლება თავად უწყობს.

– რით გამოიხატება ხელისუფლების ხელშეწყობა? „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ნაწილიც აღიარებს და სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსული პროპაგანდა გაძლიერდა.

– ამას წუხილი არ შველის, საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. რუსულ პროპაგანდას ხელისუფლება არაფერს უპირისპირებს. რუსული პროპაგანდის საპირისპიროდ მთავრობა არანაირ განცხადებას არ აკეთებს. მართლა თუ წუხან ამის გამო, მაშინ გამოიყენონ საზოგადოებრივი მაუწყებელი და იქ დაიწყონ კონტრპროპაგანდა.

რანაირად წუხან, როცა რუსულ პიარმანქანაში ჩართულ მედიაში მთავრობა ფულს ხარჯავს. მხედველობაში ასეთ მედიაში მთავრობის მხრიდან განთავსებული რეკლამა მაქვს. ეს მინიმუმ საოცარ უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს, მაგრამ მგონია, რომ აქ უფრო მეტ რაღაცასთან გვაქვს საქმე.

– მაინც რასთან გვაქვს საქმე?

– ხელისუფლების საგარეო მისწრაფებებზე კარგად მეტყველებდა ბიძინა ივანიშვილის განცხადებები, როცა ის ქვეყნის პრემიერი იყო. ის დიდ დაინტერესებას იჩენდა ევრაზიული კავშირის მიმართ და ღიად აცხადებდა, რომ შურით უყურებდა სომხეთის საგარეო პოლიტიკას. სომხეთის საგარეო პოლიტიკა კი ღიად არის რუსეთთან პარტნიორობაზე ორიენტირებული.

ეს ყველაფერი არის ძალიან სერიოზული საპირწონე მათ მიერ გაკეთებული განცხადებებისა, რომ ნატოსა და ევროპაში ინტეგრაცია უნდათ.

– თქვენ არ გჯერათ, რომ ხელისუფლებას მართლა სურს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია?

– ჩემ მიერ ჩამოთვლილი მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ განცხადებებში თავისუფლად შეგვიძლია ეჭვის შეტანა. ამას დაამატეთ გაზპრომის გარშემო მიმდინარე პროცესებიც და ყველაფერი ნათელია.

– გაძლიერებული რუსული პროპაგანდა შეუშლის ხელს საქართველოს, რომ ის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანდეს? 2008 წელს გამართულ პლებისციტზე მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა სულ სხვა პოზიცია დააფიქსირა.

– გაძლიერებული რუსული პროპაგანდა სერიოზული რისკებს შეიცავს. ამ რისკებზეა სწორედ საუბარი აშშ-ის დაზვერვის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტში.

ზუსტად რა მოხდება და რა შედეგი დაიდება, ამას ლელა კაკულიას თუ აწინასწარმეტყველებინებთ. სხვა მხრივ ეს არის იდეოლოგიური ბრძოლა.

საქართველოში დღეს ანგარიშგასაწევად იქცა ის ძალა, რომელსაც, გნებავთ, მეხუთე კოლონა დაარქვით და, გნებავთ, ანტიდასავლური. ისინი ყველაფერს იღონებენ საიმისოდ, რომ მოსახლეობის განწყობები გადაწონონ. მესმის, რომ ეს არის ბრძოლა, მაგრამ მთელი პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლება ამ აღვირახსნილი პროპაგანდის წინააღმდეგ არაფერს აკეთებს. ის ხომ მაინც შეიძლება, რომ რამდენიმე მედიასაშუალებას რუსულ პროპაგანდაში ხელი არ შეუწყონ.

– თქვენ აპროტესტებთ, რომ ამ მედიასაშუალებებს ხელს არ უშლიან. ამაზე იტყვიან, მედიის საქმიანობაში არ ვერევითო.

– ასეთ დეზინფორმაციულ და ქვეყნის განვითარების წინააღმდეგ მომართულ შემოტევებზე ჩვენზე ბევრად უფრო დემოკრატიული და სტაბილური ქვეყნებიც რეაგირებენ. ამ ხელისუფლებაზე კი ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მედიის მიმართ სიყვარულის ბუშტი აქვს გახეთქილი. რუსთავი 2-ისა და მაესტროს საქმეები საპირისპიროს ამტკიცებს.

იმას არ ვითხოვ, რომ რომელიღაც ტელევიზია ან გაზეთი დახურონ, მაგრამ მათი წახალისება მაინც აღარ უნდა მოახდინო. ჯერ ივანიშვილი და მერე უკვე ღარიბაშვილი იმ გაზეთს, რომელიც დაუფარავად ავრცელებს რუსულ მესიჯებს, ლამის ქართული მედიის ფლაგმანად მოიხსენიებდნენ.

– თქვენ განსაკუთრებულ აქცენტს მედიაში გასულ მასალებზე აკეთებთ, მაგრამ საქართველოში ხომ გაცილებით მრავლად არის მედიასაშუალებები, რომლებსაც დასავლეთი უფრო მოსწონს.

– აქ მთავარი ისაა, როგორ იქცევა მთავრობა და არა ის, ვის რა მოსწონს და რა – არა. მთავარი ისაა, რომელ მიმართულებას უწყობს ხელს „ქართული ოცნება“, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყანას მართავს.

– ამბობთ, ხელისუფლება არაფერს აკეთებს რუსული პროპაგანდის შესაჩერებლადო. თქვენი პარტია, რომელიც მთავარ ოპოზიციურ ძალად ითვლება, რას აკეთებს ამ მიმართულებით?

– ჩვენ როგორც შეგვიძლია, ვებრძვით ამ უმსგავსობას. ვამხელთ ამ რუსულ პროპაგანდას, მოგვყავს კონტრარგუმენტები იმის წინააღმდეგ, რაც რუსეთის დაკვეთით ვრცელდება.

ხშირად გვესმის, რომ დასავლეთი დაგვღუპავს და ხსნა მხოლოდ რუსეთშია.

ჩვენ ამასთან დაკავშირებით კონტრარგუმენტები მოგვყავს, მაგრამ ხელისუფლება არ რეაგირებს. ისინი თუ ხმას არ ამოიღებენ, მარტო ჩვენი ძალისხმევა საკმარისი არ იქნება და შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ აშშ-ს რაღაც კითხვები გაუჩნდება.

გოგი თოფაძე თინა ხიდაშელის დაკითხვას ითხოვდა?

ახალი სკანდალი „ქართულ ოცნებაში“

შორენა მარსაგიშვილი

კოალიცია „ქართული ოცნება“ და არა მარტო ისინი შიშით უყურებენ გოგი თოფაძის ყველა საჯარო გამოსვლასა თუ ინტერვიუს.

მისი ყველა განცხადება და მოსაზრება დიდი სკანდალებით მთავრდება. 3 თებერვლის სკანდალი ჩამქრალი არ იყო, როცა დეპუტატის განცხადებამ კიდევ ერთხელ დაიჭექა თოფივით.

ამჯერად მისი სამიზნე თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი აღმოჩნდა.

კანონმდებელსა და ამირსპასალარს ერთმანეთთან დიდი სიამტკბილობა არასდროს ჰქონიათ. თოფაძე ხიდაშელს განსაკუთრებით მას შემდეგ დაუპირისპირდა, როცა მინისტრისგან პარლამენტში დისკრიმინაციული ხასიათის განცხადების გამო საჯარო კრიტიკა დაიმსახურა.

– რა, თოფაძე დღემდე პარლამენტშია? – იკითხა ერთი კვირის წინ ხიდაშელმა.

დეპუტატმა მინისტრის კრიტიკას ბრალდებით უპასუხა და ხიდაშელის დაკითხვა მოითხოვა.

– წესითა და რიგით, ხიდაშელმა მინისტრის კაბინეტში კი არა, დაკითხვებზე უნდა იაროს, რადგან შარშან, ოქტომბერში, საგარეჯოს რაიონში შუალედური საპარლამენტო არჩევნები გააყალბა და ამ საქმისთვის თავდაცვის სამინისტროს რესურსი გამოიყენა; ესეც არ იკმარა და ბიულეტენების დათვლაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ამ უმსგავსობის ამსახველი ფოტო სოციალურ ქსელშიც განათავსა.

დღემდე ვერ გამიგია, რასთან გვაქვს საქმე: სიბრიყვესთან თუ თავხედობასთან. ხიდაშელმა თავისი უკანონო ქმედებით მთელ კოალიციას თავი მოსჭრა და ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა, – განაცხადა თოფაძემ „საქართველოსა და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კომენტარისთვის გოგი თოფაძეს დავუკავშირდით. ის ამ თემაზე საუბრით დაღლილი იყო და ძალიან გაღიზიანებული ჩანდა.

– უკვე არც კი ვიცი, მერამდენედ ვიძლევი ამ თემაზე კომენტარს. დაურეკეთ ამ სტატიის ავტორს, რომელსაც აქვს ჩანაწერი, დაურეკეთ რედაქციას, მოუსმინეთ ჩანაწერს და ნახავთ, რას ვამბობ, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში თოფაძემ.

დეპუტატს ამ საკითხზე კომენტარისთვის ყველა ჭეშმარიტმა რესპუბლიკელმა დაურეკა. მათ შორის იყო გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილიც. მას სჯერა, რომ თოფაძეს მეთოფე არ გაუკრიტიკებია.

– მე პირადად ვესაუბრე ბატონ გოგის. ის არ ადასტურებს ამ ინფორმაციას, რომ მას ასეთი რამ არ უთქვამს და, შესაბამისად, მე ვიღებ რა ბატონი გოგის ამ პასუხს, ჩემი პასუხი ამ საკითხზე ასეთია – რაც არ ყოფილა, იმაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, – განაცხადა აგულაშვილმა.

შექმნილ ვითარებას სხვა რაკურსით შეხედა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა. მისი აზრით, დეპუტატი მინისტრზე ნაწყენი იყო და ამიტომაც თქვა ასეთი რამეები.

– ბატონ გოგის ეწყინა, როდესაც თქვა თინიკომ, გოგი კიდევ არის პარლამენტშიო. ეს ეწყინა ბატონ გოგის და ამაზე გააკეთა რეაგირება, თუმცა ფრაქციის თავმჯდომარისა და მინისტრის მხრიდან ამ ტიპის საჯარო განცხადებები საზოგადოებაში არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომაც აქ არსებობს ძალიან ნორმალური მექანიზმი. ეს არის უმრავლესობის შეკრება, საკითხის განხილვა და პირდაპირი კომუნიკაციის გზით ურთიერთობის დალაგება, – აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

თოფაძის ნასროლი სიტყვა ხიდაშელს ბრიუსელში წამოეწია, სადაც მას მნიშვნელოვანი შეხვედრები აქვს.

ჟურნალისტების კითხვას, აპირებს თუ არა თავისი თანამეცხედრის კოლეგის ბრალდებებზე პასუხის გაცემას, ხიდაშელი ასე პასუხობს:

– არა, რა თქმა უნდა, არა.

ირაკლი ღარიბაშვილი მეოთხე შვილს ელოდება

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეოთხე შვილს ელოდება. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა ავრცელებს:

– სანამ ზოგიერთი ჟურნალისტი იმ ლეგენდებისა და ზღაპრების შეთხზვით არის დაკავებული, თურმე როგორ დაემდურა ღარიბაშვილის მამა, ტარიელი, მძახლებს და თურმე როგორ უმძრახად არიან ერთმანეთში, მოყვრებს გავახარებ და ვეტყვი, რომ ისინი ერთად არიან, უერთმანეთოდ პურს არ ტეხავენ და ღარიბაშვილ-თამაზაშვილები მეოთხე შვილს ელოდებიან. სამი ბიჭის მერე ერთი გოგოო. მეც გულით ვიზიარებ მათ სიხარულს, – წერს ნინო ჯღარკავა.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან მურუსიძე: „220 მოსამართლიდან 204-მა მე მომცა ხმა. როგორ ვარ არალეგიტიმური?!“

„თურმე ერთი მამუკა ახვლედიანი ყოფილა მედროშე და დანარჩენები მშიშრები და ლაჩრები არიან“

ნონა ცაბაძე

სასამართლო სისტემის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი სიმწვავეს არ კარგავს. რა პროცესები მიმდინარეობს სასამართლოში? არის თუ არა კორუფცია? რა კამპანია მიმდინარეობს ლევან მურუსიძის წინააღმდეგ? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი **ლევან მურუსიძე** პასუხობს.

– პატონო ლევან, რამ განაპირობა არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი? წინა ხელისუფლების დროს უკეთესი სასამართლო სისტემა გვქონდა?

– დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღევანდელი სასამართლო არის უკეთესი, ვიდრე იყო წინა სასამართლო.

– მაშინ რაშია პრობლემა?

– ეს არის ისტერიკა, არაჯანსაღი პროტესტი, რომელიც დღეს მიმდინარეობს. ჩვენ გამუდმებით ვთავაზობთ ამ ხალხს, რომ შეეხვდეთ, დავილაპარაკოთ, ერთმანეთს აზრები გავუზიაროთ. შეჩერდეს მოსამართლეების დანიშვნაო, სარჩელი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში, მაშინ, როცა მოსახლეობის მხრიდან სერიოზულ უკმაყოფილებას აქვს ადგილი.

– უკმაყოფილებას რასთან დაკავშირებით?

– რომ დროულად არ ხდება საქმეების განხილვა. ეს კი იმიტომ, რომ მოსამართლეების ნაკლებობაა და თითო მოსამართლეს უამრავი საქმე აწერია. აუცილებელია შეხვედრა და ამ თემებზე საუბარი. რაღაცაზე შეიძლება შევთანხმდეთ, რაღაცაზე ვერა, მაგრამ ის წრეგადასული ლანძღვა-გინება, რომ სასამართლოში ხდება საშინელება, ხდება უბედურება და ასე შემდეგ, უსამართლობაა.

– კორუფციამ იმატა და იუსტიციის საბჭოში კლანური დაჯგუფება შეიქმნაო. ასეა?

– მთელი ამ აგრესიის ძირითადი სამიზნე ამ პერიოდში მე ვიყავი. ყველაფერს ლაპარაკობენ დღეს ლევან მურუსიძეზე, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, ცხოვრებაში ვერავინ დამადანაშაულებს იმაში, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობის მანძილზე ქრთამთან რაიმე სახის ურთიერთობა მქონოდა! შესაძლოა გარკვეული კითხვები არსებობს, ამ ყველაფერს უნდა შეხვედრა, დასხდომა და მშვიდ ვითარებაში საუბარი და არა ის წრეგადასული ლანძღვა-გინება, რომელიც დღეს მიმდინარეობს!

– მამუკა ახვლედიანმა საკმაოდ სკანდალური განცხადებები გააკეთა. მან ისაუბრა მოსამართლეების ტესტების გაჟონვის თაობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ დღეს მამუკა ახვლედიანის დევნა და შევიწროება მიმდინარეობს. ასეა?

– მოგახსენებთ. რაც ახლა იქნა გამოქვეყნებული მამუკას მიერ, ეს არის ზოგადად ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, ეს არის ჩვეულებრივი პროცედურა. როდესაც შემოდის საჩივარი, რომ მოსამართლის მხრიდან არის სავარაუდოდ დარღვევა, მოსამართლეს ეძლევა საშუალება, დაიცვას თავისი პოზიცია და არგუმენტირებულად დაასაბუთოს, რეალურად გადაცდომას ჰქონდა ადგილი თუ არა. ამის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი წყვეტს, დარღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი.

„ჩემთანაც მოდის ხმები სასამართლოში კორუფციის შესახებ“

– ამ შემთხვევაში ახვლედიანის მხრიდან ჰქონდა დარღვევას ადგილი?

– ამ ეტაპზე საბჭოს ეს საქმე არ გადასცემია, ახვლედიანის დევნა არ განხორციელებულა. მე არ მინდა, ისე გამოიყვანონ საქმე, რომ თურმე სასამართლო სისტემაში არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს სიმართლეს და არაფრის ეშინია, ხოლო დანარჩენი სასამართლო სისტემა შეშინებულია.

დღეს რატომღაც ისე გამოდის, რომ არასამთავრობოები არ ელაპარაკებიან სასამართლო კორპუსს, ელაპარაკებიან მხოლოდ ერთ ადამიანს, რომელსაც წლების განმავლობაში ხმა საერთოდ არ ამოუღია!

– ანუ მხოლოდ მამუკა ახვლედიანთან თანამშრომლობენ?

– დიახ, ასეა. მე ამის წინააღმდეგი კი არა ვარ, რასაკვირველია, ყველა მოსამართლეს აქვს უფლება, თავისი პოზიცია გამოხატოს, მაგრამ სასამართლო კორპუსსაც აქვს უფლება, მისი პოზიციაც მოისმინონ.

არ შეიძლება, სასამართლო კორპუსს ეძახო მშიშარა და ლაჩარი იმის გამო, რომ ერთ მოსამართლეს განსხვავებული პოზიცია აქვს, თან იმ მოსამართლეს, რომელსაც ამ თვეების განმავლობაში არ ულაპარაკია არსად, არცერთ ფორმატში.

რომ გაიძახიან, უღირსი მოსამართლეების დაწინაურება ხდებაო, ძალიან მაინტერესებს, ამიხსნან, რატომ არიან ის მოსამართლეები უღირსები, რომლებიც დააწინაურეს!

– ამბობენ, რომ მხოლოდ ნაცნობებს აწინაურებთ.

– რომელ ნაცნობობაზეა საუბარი, სასამართლოში მოსამართლე არ იქნება, რომელსაც მე არ ვიცნობ. აბსოლუტურად ყველას ვიცნობ. როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ ვინც დავაწინაურე, გარკვეული მოსამართლეები, ეს ნაცნობობით მოხდა!

– ზოგადად განწყობაა საზოგადოებაში, რომ წინა ხელისუფლების დროინდელ მოსამართლეებს ვადა არ უნდა გაუგრძელდეთ და მათი დაწინაურება არ უნდა ხდებოდეს.

– კი ბატონო, ეს გასაგებია, საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს თავისი ლეგიტიმური პოზიცია, მაგრამ, თუ ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს, მაშინ მოსამართლეები არ უნდა იყოფოდნენ, თუ რომელი ხელისუფლების მიერ არიან დანიშნული. ზუსტად ამიტომ არის აუცილებელი უვადოდ დანიშვნა, რომ ამ კუთხით გარდატეხა მოხდეს.

ამ ხელისუფლების დამსახურება ის იყო, რომ არ მოიქცა ძველი ხელისუფლების მსგავსად და არ გაყარა სისტემიდან ის მოსამართლეები, რომლებიც დანიშნული იყვნენ წინა ხელისუფლების დროს. ერთხელ და სამუდამოდ რაღაც ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ კუთხით. თუ რამე ხარვეზებია, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ. გამოსწორების გზებზე ვილაპარაკოთ.

– თქვენზე ამბობენ, რომ გაურიგდით ივანიშვილის ხელისუფლებას, მათაც აწყობდათ ეს ყველაფერი, რადგან მათი მხრიდანაც ადვილად სამართავი იქნებით. ამაზე რას იტყოდით?

– ამაზეც გეტყვით. ჩვენ ბოლოს მოვაწყვეთ კონფერენცია-შეხვედრა ხელისუფლებასთან, მოსამართლეები შევხვდით. იქაც მწვავე საუბარი იყო. ყველამ კარგად ნახა, რომ არ დარჩა ხელისუფლებაში კაცი, რომელსაც ჩემ მიმართ არ ჰქონოდა მწვავე და კრიტიკული დამოკიდებულება. უნდა მოგესმინათ, რას ფიქრობდნენ ჩემზე დეპუტატები, პრეზიდენტი, არ დარჩენილა სახელისუფლებო შტო, მათგან კრიტიკა რომ არ დამემსახურებინა. თქვენ რომ ეს მოგესმინათ, ასეთი კითხვა აღარ დაგებადებოდათ.

– დიდი კრიტიკა კი იყო, მაგრამ მაინც ხომ დაინიშნეთ ამ თანამდებობაზე?!

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პეტრე მამრაძე: „კვირიკაშვილი ივანიშვილის ნების გამტარებლად რჩება“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე „ქართული ოცნების“ მმართველობის შესახებ „ახალ თაობას“ ესაუბრა.

– რა დადებითი და უარყოფითი ტენდენციებია კვირიკაშვილის პრემიერად დანიშვნის შემდეგ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში?

– დადებითი ტენდენცია არის ის, რომ მაღალი კულტურის კვირიკაშვილი თავისი ქცევით საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ნდობასა და სიმპათიას იწვევს. ძალიან ბევრ ადამიანს მოეწონა პარლამენტში მისი თავდაჭერილობა, როდესაც აგრესიული, თითქმის ხულიგნური შეტევები განხორციელდა მის მიმართ ნაცების მხრიდან, მან კი საერთოდ არ გასცა პასუხი ასეთ აგრესიულ დამოკიდებულებას, სინანულით თქვა, რომ, სამწუხაროდ, პოლიტიკოსები ზოგჯერ გლადიატორებს ემსგავსებიან და მას არ უნდა ამაში მონაწილეობის მიღება, ისიც შეახსენა აუდიტორიას, რომ მასაც შეუძლია ხმის ამაღლება, მაგრამ ამას არ კადრულობს.

– ანუ კვირიკაშვილს ნაციონალები არ ენდობიან?

– დიახ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც გაწბილებული არიან „ოცნების“ მოქმედებით. მათ სულ სხვა მოლოდინი ჰქონდათ, თუნდაც იმ შეპირებიდან გამომდინარე, რომელიც გასცეს. გავიდა უკვე სამი წელი, რაც „ოცნებაა“ ხელისუფლებაში, ბევრი ადამიანი გაწბილდა და „ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად დაეცა.

– საგარეო პოლიტიკაში რა ხდება?

– საგარეო პოლიტიკაში მისასალმებელია ის. რომ საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა გამოხატეს მტკიცე იმედი, რომ კვირიკაშვილის მოსვლით მოხდება დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში. უცხოელი ლიდერებიდან ძალიან დადებითი გამოხმაურება იყო კვირიკაშვილის დანიშვნაზე.

– უცხოელების ასეთი განწყობები როგორ წაადგება ჩვენს ქვეყანას?

– ეს ყველაფერი კარგია როგორც შინ, ისე გარეთ ინვესტიციების მოზიდვისათვის. ადამიანმა მოასწრო მუშაობა ეკონომიკის მინისტრად. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში არა მარტო არ დაუშვა არცერთი არასწორი, მით უმეტეს, მავნე განცხადება, არამედ მისი ყველა განცხადება საჭირო და სწორი იყო, თუმცა ბევრმა იცის და მეც ასე მიმაჩნია, რომ კვირიკაშვილი რჩება ივანიშვილის ნების გამტარებლად. ის იყო ბანკ „ქართუს“ თანამშრომელი და სინამდვილეში ივანიშვილის თანამშრომლად რჩება.

– რით გამოიხატება ივანიშვილის თანამშრომლად დარჩენა?

– ივანიშვილის თანამშრომლად დარჩენა გამოხატული იქნება იმით, რომ გარდა იმ შემთხვევისა, რომელზეც კვირიკაშვილი ივანიშვილისგან მიიღებს დასტურს, მას არ ექნება თავისუფლების ხარისხი. ეს არის სრულიად არაადეკვატური ვითარება, პატრონკლიენტური სისტემა, როდესაც მთელი მმართველი გუნდი პარლამენტში თუ სხვაგან ერთ ადამიანს აღიქვამს, როგორც პატრონს, სხვები კი არიან ე.წ. კლიენტები. ეს არის პატრონყმური სისტემა. კვირიკაშვილი ამას ვერ შეცვლის, რადგან ეს მასზე დამოკიდებული არ არის.

– მომავალში რას უნდა ველოდოთ? ბოლო დროს დიდი პროექტების განხორციელება დაიწყო. ეს სიტუაციას ვერ გამოასწორებს?

– მე ჩასაფრებული არ ვარ და აღვნიშნავ, რომ დიდი პროექტების განხორციელება დადებითი მომენტია. ღარიბაშვილის დროს დაიწყო ჩინეთთან ურთიერთობა და პირველი მატარებელი გავიდა. მაშინ ამერიკელებმა დადებითი შეფასება მისცეს საქართველოს ასეთ ურთიერთობას ჩინეთთან. ახალი აბრეშუმის გზა მთელი დატვირთვით რომ ამუშავდეს, მაშინ ნახეთ სამუშაო ადგილების სიმრავლე და ბიუჯეტის შევსება.

ახლახან ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით შეირჩა ინვესტორი. ამ პროექტში ქართველები ამერიკელებთან ერთად გამოდიან. ეს ძალიან დადებითია.

ვაჟა ბერიძე: „მომავალ პარლამენტში ოთხი ძალა იქნება წარმოდგენილი“

„ალტერნატივას ოდესიდან ჩერნოვეცკისა და ბურჭულაძის სახით გვთავაზობენ“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელ ჯეიმს კლაპერის მოხსენებას, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველო რუსეთის ზეწოლის პირობებში სტრატეგიულ დასავლურ ორიენტაციას შეიცვლის.

ექსპერტ ვაჟა ბერიძის შეფასებით, ასეთი დასკვნა საფუძვლიანია. კითხვებს აჩენენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუდმივად აწვდიან ინფორმაციას ამერიკის შესაბამის სტრუქტურებს.

– გრანტებით ნაკვები სუბიექტები მათ რეალურ სურათს არ უჩვენებენ. ისინი ვერც გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს სახავენ. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს საზოგადოების ნაწილი შეიძლება მართლაც რუსეთისკენ შებრუნდეს, – განუცხადა ობიექტივს ვაჟა ბერიძემ.

მისი თქმით, ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის შედეგები ათწლეულების შემდეგ გამოჩნდება. მიუხედავად ამისა, საქართველომ ევროატლანტიკურ კურსს არ უნდა გადაუხვიოს. რუსეთთან სავაჭრო და სხვაგვარი ურთიერთობების დამყარება კი აუცილებელია. ამისკენ ნატოს გენმდივანი და აშშ-ის ელჩიც მოგვიწოდებენ.

ვაჟა ბერიძე:

– საქართველოს ეროვნული ინტერესები ვერცერთმა ხელისუფლებამ მკაფიოდ ვერ ჩამოაყალიბა. ეროვნული უსაფრთხოების ყველა კონცეფციაში, გარდა ლამაზი და უშინაარსო ფრაზებისა, არაფერია.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოებისთვის ამ პირობებში მთავარი უნდა იყოს სამი ამოცანის შესრულება. ესენია: სოციალური პრობლემების მოგვარება საარსებო დონეზე, ეკონომიკის გაჯანსაღება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

– თუ ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგა ხილულ პერიოდში, თუ არ ამუშავდა ეკონომიკა, რომელიც პერმანენტულ სტაგნაციაშია, თუ სოციალური პრობლემები საარსებო მინიმუმის დონეზე არ გადაწყდა, საქართველოს დამოუკიდებლობა იქნება ფარატინა ქაღალდი და ჩვენ ნებისმიერ დღეს შეიძლება აღმოვჩნდეთ რომელიმე იმპერიული წიაღის ორგანული შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებლობის ნიშნების გარეშე შეცვლილი დემოგრაფიული ვითარებით, – ამბობს იგი.

ვაჟა ბერიძის პროგნოზით, მომავალ პარლამენტში 4 ძალა მოხვდება – „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობა, ნინო ბურჯანაძის გაერთიანება და პატრიოტთა ალიანსი. მისი გათვლით, „ოცნება“ ხმების 20 ან 25%-ს მიიღებს, ნაცმოძრაობა – დაახლოებით 10%-ს. პატრიოტთა ალიანსმა, შეესაძლოა, 15%-ც მიიღოს, მაგრამ გაურკვეველია, დაუმტკიცებენ თუ არა ამ პარტიას ასეთ შედეგს.

ექსპერტის შეფასებით, ამომრჩეველთა დარჩენილი უმრავლესობა დეზორიენტირებულია. ამ სიტუაციაში ოდესის ოლქიდან ელექტორატს სთავაზობენ ჩერნოვეცკისა და ბურჭულაძეს.

ვაჟა ბერიძე დარწმუნებულია, რომ პარტია გირჩიც ოდესის გუბერნატორის სახელს უკავშირდება, რადგან გირჩის შემქმნელებს ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირი არ გაუწყვეტიათ.

მისი თქმით, გირჩი ამომრჩეველს ვერ გადაიბირებს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ლევან მურუსიძე: „220 მოსამართლიდან 204-მა მე მომცა ხმა. როგორ ვარ არალეგიტიმური?!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემი მიზანია, რომ სასამართლო გავათავისუფლო პოლიტიკისგან, პოლიტიკური ჩარევებისგან. ფარული კენჭისყრით მოხდა ჩემი არჩევა. რომ იძახიან, მურუსიძის ეშინიათო, არავის არ ეშინია ჩემი სასამართლო სისტემაში. ამირჩიეს ფარული კენჭისყრით. მე მათ უფლებებს გამოვხატავ.

ასე რომ, თუ სასამართლოში არსებულ პრობლემებზე უნდა დაელაპარაკო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მასთან ერთად უნდა დაელაპარაკო იმ ადამიანს, რომელიც იცავს მოსამართლეთა ინტერესებს. ეს არასამთავრობოები ყველას ელაპარაკებიან სასამართლოს პრობლემებზე, გარდა იმისა, ვისთანაც დასალაპარაკებელია.

– ანუ უარს ამბობენ თქვენთან საუბარზე?

– დიახ. ერთხელ მოვიწვიეთ, მეორედ, ახლაც ვთავაზობთ, რომ დავსხდეთ და ვისაუბროთ, მაგრამ ამაოდ. როდესაც საქმე სასამართლოს ეხება, ეს, პირველ რიგში, ხომ იმ ადამიანებს უნდა ჰკითხო, რომლებსაც ეს ეხებათ.

– არ მიგიჩნევენ ლეგიტიმურ თავმჯდომარედ.

– როგორ შეიძლება, ამას ფიქრობდნენ არასამთავრობოები, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, რომ ერკვევიან იურისპრუდენციაში. ყველა მოსამართლეს აქვს უფლება, დაასახელოს საკუთარი კანდიდატი და 220 მოსამართლიდან 204-მა ფარული კენჭისყრით მე მომცა ხმა. როგორ ვარ არალეგიტიმური?! თუ ისინი თვლიან, რომ ეს ლეგიტიმური არ არის, მაშინ საერთოდ რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?!

შეურაცხმყოფელია მოსამართლეებზე ასეთი საუბარი. თურმე ერთი ახვლედიანი ყოფილა მედროშე და დანარჩენები – მშიშრები და ლაჩრები. ასეთი საუბრები არ ეკადრებათ. დღეს სასამართლო სისტემაში ისეთი მაღალი თავისუფლების ხარისხია, რომელიც მანამდე არ ყოფილა. ამას მოფრთხილება და განვითარება სჭირდება.

– რა არის ამ არასამთავრობოების მიზანი?

– ისინი აცხადებენ, რომ მათ უნდათ ძლიერი, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემა. ჩვენც ზუსტად იმავეს ვაცხადებთ. ეს ყველაზე მეტად ჩვენ გვინდა. თუ გვინდა, რომ საერთო მიზნამდე მივიდეთ, მაშინ პოზიციები უნდა შევაჯეროთ, უნდა დავილაპარაკოთ. თუ ამის სურვილი არ აქვთ და თავიანთი ვიწრო ინტერესებისთვის იყენებენ ამ ყველაფერს...

– რა ინტერესებისთვის?

– პოპულარულია დღეს სასამართლოს ლანძღვა-გინება. ეს მათ ხელს აძლევს. მე ასეთი შთაბეჭდილება მიჩნდება! ლანძღვა-გინებით სადმე რამე გაკეთებულა?!

– ამბობენ, რომ შესაძლოა მოსამართლეებმა დღეს მიიღეს მეტი თავისუფლება, ვიდრე წინა ხელისუფლების პერიოდში, მაგრამ სასამართლოში კორუფცია აყვავდა. ამაზე რას უპასუხებდით?

– ზოგადად კორუფციულ ფაქტებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სჭირდება დადგენა, კონკრეტული ფაქტები უნდა არსებობდეს, თუმცა მე, როგორც საბჭოს მდივანი, ვაცხადებ, რომ საზოგადოების გარკვეული ფენები ამაზე საუბრობენ.

– რომ ქრთამს იღებენ?

– რატომ უნდა დავმალო, ამაზე ნამდვილად საუბრობენ. ძალიან ძნელია, კონკრეტულად ვინმეს რამე დააბრალო. ფაქტები უნდა გეჭიროს ხელში. ეს საუბრები მიმდინარეობს, ჩემთანაც მოდის ეს ხმები, თუმცა ეს არის ეჭვის დონეზე, რომელსაც აუცილებლად სჭირდება გამოკვეთა.

ეს იქნება ყველაზე დიდი მტერი, რომელიც შეიძლება სასამართლო სისტემას დაემუქროს. ჩვენ უნდა დავდგეთ სადარაჯოზე, რომ მსგავსი რამ არ დავუშვათ. მე, როგორც იუსტიციის საბჭოს მდივანს, გაცილებით მეტი ინფორმაცია მომდის სასამართლოს შიგნით არსებულ სიტუაციაზე და გიდასტურებთ, რომ ამაზე საუბრები არის.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ბიზნესი მოგების გადასახადისგან თავისუფლდება

მოგების რეინვესტირების შემთხვევაში

საქართველოს მთავრობის ინიციატივით პარლამენტს „საგადასახადო კოდექსში ცვლილება“ წარედგინება, რომელიც მოგების გადასახადის განაწილებული მოგების გადასახადით შეცვლას ითვალისწინებს.

ამის შესახებ განცხადება ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა გააკეთა.

მისი თქმით, თუ კომპანიამ მიიღო მოგება, მაგრამ მოახდინა მისი სრული ინვესტირება, საწარმოდან არ გაიტანა და არ გამოიყენა დივიდენდების გასაცემად, მოგების გადასახადს აღარ გადაიხდის.

ეს არ არის ერთადერთი სიახლე, რომელიც კოდექსში შედის. ცვლილება შეეხება დაბეგვრის რეჟიმსაც. ფინანსთა მინისტრმა განმარტავს, რომ ის გარკვეული კატეგორიის გადამხდელებს არ შეეცვლებათ.

– დაბეგვრის რეჟიმი არ შეეცვლება ზოგიერთი კატეგორიის გადამხდელს, მაგალითად, მეწარმე ფიზიკურ პირებს, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ბანკებს, ასევე ორგანიზაციებს, რომლებსაც კანონმდებლობით ეკრძალებათ მოგების განაწილება, შესაბამისად, მას არ ანაწილებენ. მაგალითად, ეს არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ეს არის არასამთავრობო სექტორი, ე.წ. ააიპ-ები, – აღნიშნა ხადურმა

რაც შეეხება პროცენტზე, როიალსა და დივიდენდზე არსებული განაკვეთს, მინისტრმა ამომწურავი განცხადება ამ თემაზეც გააკეთა.

– შენარჩუნდება პროცენტზე, როიალსა და დივიდენდზე არსებული განაკვეთი, საწარმოს მოგების გადასახადისთვის საანგარიშო პერიოდი გახდება 1 თვე, აღარ იქნება 1-წლიანი, შესაბამისად, კომპანია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიხდის ამ გადასახადს, თუ იმ 1 თვის განმავლობაში მოგებას გაანაწილებს, – განმარტა ფინანსთა მინისტრმა.

მისი თქმით, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის ან სხვა ფორმით განაწილებული მოგება, საქონლის, მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები და ის გადახდები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან.

– სახსრები, რომლებიც მიმართული იქნება ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოების გაფართოებისთვის, დასაქმების გაზრდისთვის, აღარ დაიბეგრება და ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცვლილება ძალაში შევა მიმდინარე წლის 1 ივლისს, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მან განმარტა, რომ 1 ივლისამდე 6 თვის განმავლობაში ძველი წესით მომუშავე საწარმოებისთვის დეკლარირების პერიოდად განისაზღვრება, სავარაუდოდ, 1 ნოემბრამდე პერიოდი, ხოლო დანარჩენ პერიოდზე ჩვეულებრივ, ყოველთვიურად მოხდება.

– ამით გამარტივდება დეკლარირებაც და საგადასახადო შემოწმებებიც, – აღნიშნა მინისტრმა.

* * *

ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ბიზნესასოციაციის წარმომადგენელ ირაკლი ასლანიშვილს ვთხოვეთ.

– პატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ მთავრობის ინიციატივას?

– მთავრობის სხდომაზე გატანილი საკითხი ორ ნაწილად უნდა დავყოთ.

ერთი ეხება ერთეული მოდელის დაგეგმვას, რომელიც მოგების ნაწილში მთლიანად ცვლის დაბეგვრის რეჟიმს.

ეს მოდელი არის ესტონური საგადასახადო კოდექსის ანალოგი. რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესმენი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან, რაც დიდი სტიმული იქნება ბიზნესმენებისთვის. მათ გაუჩნდებათ დამატებითი სახსრები და უფრო მეტად მდგრადები იქნებიან სხვადასხვა პრობლემური ფაქტორების წარმოშობის დროს. ეს ასევე ხელს შეუწყობს კომპანიებს განავითარონ ბიზნესი და მოახდინონ ახალი პროექტების განხორციელება.

ირაკლი ასლანიშვილი

არანაკლებ მნიშვნელოვანია საგადასახადო ადმინისტრირების თემა, რომელიც გაუმარტივებს კომპანიებს მოგების კალკულაციიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ საკითხებს. პარალელურად, ეს გამოუთავისუფლებს დროს შემოსავლების სამსახურს და ამ სამსახურის რესურსები სხვა მიმართულებით უფრო მეტად იმუშავებენ.

რაც შეეხება მეორე ცვლილებას, არანაკლებ მნიშვნელოვანია საგადასახადო ლიბერალიზაციის რეფორმა, რომელიც პრემიერმა გაახმოვანა. აქ რამდენიმე ასპექტს გამოვყოფ.

ერთი საკითხი შეეხება იმ ნაწილს, რომ კომპანიებს საშუალება ექნებათ, დღგ-ს დაბეგვრის ოპერაციის შესრულებისას მანქანა-დანადგარების შემოტანის დროს, დაბეგვრის გადასახადიდან სრულად გათავისუფლდნენ.

ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს მანქანა-დანადგარები მათ ეკონომიკურ საქმიანობას აუმჯობესებს და კონკრეტულად დაწესებულებას ხმარდება.

მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა ის გახლავთ, რომ საგადასახადო დავის არსებობის პერიოდში შემოსავლების სამსახური სასამართლოს გარეშე ყადაღას ვეღარ გამოიყენებს ანუ მეორე მხარეს სრული უფლება ექნება, გაასაჩივროს სასამართლოში ნებისმიერი ყადაღა.

პლუს ამას მხოლოდ შემოსავლების სამსახური ჩაატარებს შემოწმებას და აღარ იქნება ჩართული საგამოძიებო სამსახური, რაც ძალიან კარგია, რადგან კომპანიებს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობა აქვთ და უადვილდებათ.

– რამდენად არის სარისკო ეს კოდექსი? ხომ შეიძლება ვინმეს გადასახადების დამალვის სურვილი გაუჩნდეს?

– იქნებ უფრო კონკრეტულად ახსნათ.

– კეთილი. ჩემს საწარმოს სჭირდება სამი დანადგარი. მე ვყიდულობ ხუთს, არ ვიბეგრები და ვყიდი ორს, მოგებას ვნახულობ და თან დანადგარებიც მაქვს საწარმოსთვის, ანუ სახელმწიფოს ვატყუებ.

– ანუ თქვენ დაბეგვრის ნაწილს გულისხმობთ. ამ თემაზე იქნება მსჯელობა, აუცილებლად ვიქნებით ჩართული ჩვენც და ყველა რისკფაქტორს გავივლით. არსებობენ შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ამ ყველაფერს გააკონტროლებენ.

– და იმ შემთხვევაში, თუ მოგება ოფიციალურად ჩავაბრუნე საწარმოში, არაოფიციალურად კი ერთი ჯიბიდან მეორეში გადავიტანე...

– ასე მარტივი არ იქნება, რადგან რეინვესტირება რომ განხორციელდება, შედეგი უნდა დაიდოს. სხვაგვარად, დაბეგვრაც მოხდება. ასე დებატებში შესვლა ცოტა რთული, კონკრეტული შემთხვევების განხილვა თითქმის შეუძლებელია, თუმცა სერიოზულ რისკებს ნამდვილად ვერ ვხედავ.

* * *

ბიზნესმენ გიორგი ყარაულაშვილს ბიზნესი საქართველოშიც აქვს და ლატვიაშიც, შეხება აქვს ესტონეთთანაც.

მისი თქმით, ლატვიის საგადასახადო კოდექსი არც ისე მოქნილია. ესტონეთის კი უფრო მოხერხებულია.

– თუ რისკფაქტორები არ არის მაღალი და ვიღაც ბოროტად არ გამოიყენებს ამ კანონპროექტს, მე, როგორც ბიზნესმენი, ამ მოდელს მხარს ვუჭერ.

მე ესტონეთშიც მაქვს ფირმა დაფუძნებული. იქ რეინვესტიცია არ იბეგრება და ძალიან კარგია.

კიდევ აქვთ მშვენიერი ფორმა, პირადობის მოწმობის მსგავს საბუთს გაძლევენ, რომელიც მოქალაქეობის უფლებას არ გაძლევს, მაგრამ გაძლევს იმის უფლებას, რომ დისტანციურად მართო ბიზნესი, საბანკო ოპერაციები აწარმოო და ა.შ. – აცხადებს გიორგი ყარაულაშვილი.

– წელან რისკფაქტორები და ბოროტად გამოყენება ახსენეთ და ესტონეთში იყო ეს რისკფაქტორები?

– ისე, რომ ეს დიდი პრობლემა ყოფილიყო და საჯაროდ განხილულიყო, არა, მაგრამ, საქმე ისაა, რომ იქ მოქალაქეობრივი შეგნება უფრო მაღალია და თავად იქაური ბიზნესმენები არ ფიქრობენ, რომ ფული მოჰპარონ სახელმწიფოს, აქ კი თავის არიდება გადასახადებისგან, ასე ვთქვათ, მოსულა. აუცილებლად იქნება მცდელობა გადასახადებისგან თავის არიდებისა და რაღაცის დამალვის.

* * *

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილი ამბობს, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს საბიუჯეტო ცვლილებაც მოჰყვება.

– ეს რეფორმა პირველ ეტაპზე შემოსავლების შემცირებას იწვევს და ეს შემცირებული შემოსავლები ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იყოს ასახული და იქნება კიდეც. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში წარდგენილი იქნება საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებები ხარჯების შემცირების მიზნით, – ამბობს ლაშა ხუციშვილი.

ის განმარტავს, რომ ხარჯების შემცირება არ შეეხება სოციალურ და ინფრასტრუქტურულ ნაწილებს და შეეხება მიმდინარე ხარჯების ნაწილს, რომლებიც ბიუჯეტით არის განსაზღვრული.

ლაშა ხუციშვილი

ლაშა ხუციშვილი იმედოვნებს, რომ რეფორმის განხორციელების შემთხვევაში, დაჩქარდება ეკონომიკური ზრდა. განსაკუთრებით მცირე მეწარმეები სწრაფი ტემპით განვითარდებიან და ზოგადად ეკონომიკაში გაიზრდება პროდუქტიულობა და კაპიტალის მოცულობა და ბიზნესი უფრო მდგრადი გახდება კრიზისის მიმართ.

– ბიზნესმენებს რას ეტყოდით?

– მთავარი, რაც არის, ის გახლავთ, რომ მოგების გადასახადი დაიბეგრება მხოლოდ დივიდენდად განაწილებული მოგების შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში, მოგება არ დაიბეგრება, თუ განხორციელდება რეინვესტირება. ეს ეხება როგორც რეინვესტირებას, ისე თავისუფალ სახსრებს, რომლებიც გაუჩნდება კომპანიებს. შესაბამისად, ნაკლები მოტივაცია ექნებათ სესხის აღების და საკუთარი მოგებით დაიწყებენ ახალ საქმეს, რაც მათთვის ძალიან კარგია.

– შედეგს როდის ელოდებით?

– კანონი ძალაში 1 ივლისს უნდა შევიდეს. კომპანიებისთვის ამას შედეგი ექნება წელსვე, რადგან მიმდინარე გადასახადებს კომპანიები აღარ გადაიხდიან წელსვე. რეფორმა გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე და მომდევნო წელს უფრო მეტი ეფექტი ექნება.

რაც დრო გადის, მით უფრო შესამჩნევია ეფექტი. 1-2 წელი არის შემოსავლების შემცირების ეფექტი და მესამე წლიდან ზრდას იწყებს შემოსავლები. ასე აჩვენა პრაქტიკამ და, იმედი გვაქვს, აქაც იგივე ეფექტი იქნება.

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - C_1 მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 99 900 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიას მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
13 395 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
1 339,5 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

6 898 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 12 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 მარტს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 14 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 მარტს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაღდათის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანების ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 104 100 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაღდათის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
13 958 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
1 395,8 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

7 179 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 12 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 მარტს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 14 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 მარტს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანების ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 000 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
8 565 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
856,5 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

4 483 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 12 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 მარტს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 14 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 14 მარტს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
4 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დას რულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №4

ესპანური მედიის ცნობით, ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ბუსკეტსისა და ანდრეს ინიესტას ხელფასი ზუსტად ერთი და იგივე იქნება.

სერხიოს მიმდინარე ხელშეკრულება 2019 წლის ზაფხულამდეა ძალაში.

შედეგები

10 თებერვალი
ფეხბურთი

ინგლისი. ასოციაციის თასი

პიტერბრო-ვესტ ბრომვიჩი	1:1(3:4პ)

ესპანეთი. სამეფო თასი

ვალენსია-ბარსელონა	1:1

გერმანია. თასი

ჰაიდენჰაიმი-ჰერტა	2:3
ბოხუმი-ბაიერნი	0:3

საფრანგეთი. თასი

ბორდო-ნანტი	3:4(დდ)
სარე-ლორიანი	0:4
ტრუა-სტ.ეტიენი	1:2(დდ)
პსჟ-ლიონი	3:0

მოტლანდია. ჩემპიონშიპი

როსი-ჰართსი	0:3

ავსტრია. თასი

რაპიდი-ადმირა	0:1
შტურმი-ზალცბურგი	0:1

საბერძნეთი. თასი

ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	1:0

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სოლომონ კვერკველია: „ჩემი პირველი სახლი საქართველოა“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– როგორ ისწავლეთ რუსული?

– თავდაპირველად რუსული საერთოდ არ ვიცოდი. შემომთავაზეს თარჯიმანი, მაგრამ უარი ვთქვი. როდესაც მუშაობ თარჯიმანთან ერთად, ენის შესწავლა ორმაგად რთულია. პირველი წელი ძალიან გამიჭირდა. ზოგჯერ ისეთ რამეს წამოვიბღუყუნებდი, ყველა იცინოდა. თუმცა, ყველა მეხმარებოდა, როდესაც ვცდებოდი მისწორებდნენ და მეუბნებოდნენ, როგორ იყო მართებული. ახლა ენის მხრივ ყველაფერი კარგადაა, თავისუფლად შემიძლია საუბარი. მოგვიანებით, ზენიტში ლუჩანო სპალეტი მოვიდა, კონტრაქტის ვადა ამომეწურა, გადახედა და აღარ გამიხანგრძლივა. ალტერნატივა კი მხოლოდ რუბინი იყო.

– ვინ შეგამჩნიათ რუბინიდან?

– რუბინის დუბლების წინააღმდეგ თამაში მომიწია და საკმაოდ კარგი მატჩი ჩავატარე. როგორც ჩანს, კლუბმაც კარგად იცოდა ჩემი სიტუაცია და ზენიტთან ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ, ჩემზე შეთავაზება გააკეთეს. ამ მომენტში სხვა არჩევანი არ მქონდა.

– იყო საქართველოში დაბრუნების ვარიანტიც?

– არა! არასდროს მითამაშია უმაღლეს ლიგაში, არც პირველ ლიგაში. მხოლოდ დაბალი დივიზიონის გუნდში გამოვდიოდი, სადაც ხელფასსაც არ მიხდიდნენ. უკან არ დავბრუნდები.

– რუბინში მისვლის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდით?

– 6 თვე დუბლებში ვითამაშე, შემდეგ ტრავმა ნავასმა და ბოკეტიმ მიიღეს. სათასო შეხვედრაში ურალის წინააღმდეგ ბერდიევმა შანსი მომცა. მატჩი პენალტების სერიაში მოვიგეთ, კარი კი მშრალად შევინახეთ. შემდეგ კრილია სოვეტოვი (2:0) დავამარცხეთ, ამას მოჰყვა ჩემპიონთა ლიგის მატჩი კიევის დინამოსთან.

– რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც დუბლებიდან უცებ ჩემპიონთა ლიგის მატჩი ითამაშეთ?

– საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი, რომ უკვე მიღებული პრაქტიკა ჩემი სათამაშო ფორმის მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას მომცემდა. მატჩამდე 1 დღით ადრე ვიფიქრე, რომ ფეხბურთელს ასეთი შანსი სიცოცხლეში ერთხელ აქვს. ვიცოდი, რომ თუ კარგად ვითამაშებდი, განვითარებაში ხელი შემეწყობოდა და თუ შეხვედრას ჩავაგდებდი, საქართველოში მომიწევდა დაბრუნება.

– თქვენი დამატების შემდეგ ბერდიევმა გუნდი 3-მცველიან ტაქტიკაზე გადააწყო.

– დიახ, მე მარჯვენა ცენტრალური მცველის პოზიცია დავიკავე, ცენტრში შარონოვი იდგა, ხოლო მარცხნივ – ბოკეტი. ზოგადად, ბერდიევი ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტია. მან ჩემს რუბინულ კარიერაში დიდი წვლილი შეიტანა.

– პირველ წრეში რუბინის საქმეები კარგად ვერ წავიდა. სეზონის სტარტი არეული იყო, თუმცა სიტუაცია ბოლოსკენ შეძლებისდაგვარად დალაგდა.

– ამის ზუსტ მიზეზს ვერ გეტყვით. ეს ფეხბურთია და სპორტის ამ სახეობაში ყველაფერი ხდება. ფეხბურთი გულშემატკივრისთვის სწორედ იმითაა საინტერესო, რომ იდუმალებით არის მოცული.

– მას შემდეგ, რაც რინატ ბილიალეტდინოვმა რუბინი სატურნირო ცხრილში მე-5 პოზიციაზე გაიყვანა, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და ყაზანელებს დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეეძლოთ. რატომ არ მოხდა ეს?

– თითქმის 5 წელია რუბინში ვარ და მოედანზე გასვლა, საშუალოდ, ყოველ მე-4 მატჩში მიწევდა, ხოლო რინატის ხელმძღვანელობის დროს სრული ნდობა და 90-წუთიანი სათამაშო დრო მაქვს. მან ჩემს კარიერაში ყველაფერი შეცვალა. მისი მადლიერი ვიქნები ყოველთვის.

– როდესაც რუბინი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, ყველა ფიქრობდა, რომ მათთვის ამ ბარიერის გადალახვა შეუძლებელი იქნებოდა, 6 ტურის შემდეგ კი გამოჩნდა, რა ცოტა დაგაკლდათ.

– არ გვეყო ძალა, ჯგუფიდან გასასვლელად, ამავდროულად, ვცდილობდით, ჩემპიონატში სიტუაცია არ აგვრეოდა. ბოლო მატჩში, ბორდოსთან ფეხბურთელები ძალიან დაღლილები ვიყავით. პირადად მე მატჩის მიმდინარეობისას ვგრძნობდი, რომ თამაშის გაგრძელება აღარ შემეძლო.

– მატჩი ენფილდზე – ეს რას ნიშნავს?

– ყოველთვის მქონდა ოცნება, აქ მეთამაშა. ენფილდი მშვენიერი სტადიონია, ხოლო ლივერპული – ბრწყინვალე გუნდი. მატჩის წინ, გასახდელში ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ თუ თავდასხმა არ გამოგვივა, მათ არ უნდა გამოუვიდეთ შეტევა. საბედნიეროდ, მარკომ საკმაოდ ლამაზი გოლი გაიტანა, თუმცა მალევე, 10 კაცით დავრჩით. ამის შემდეგ, სერგეი რიჟიკოვმა საკმაოდ ბევრი ბურთი მოიგერია და ქულა გადაგვირჩინა.

– 2014 წელს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდით. საქართველოში გიცნობენ?

– არა, სამშობლოში ვარსკვლავი არ ვარ. ჩემთან არავინ მორბის ავტოგრაფის და სელფის გამო, თავისუფლად და წყნარად შემიძლია გავიდე ქუჩაში. რა თქმა უნდა, არის ხალხი, რომელიც მიცნობს. საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველამ ყველაფერი იცის.

– ცოტა ხნის წინ დაიწერა, რომ თქვენი გადაყვანა დორტმუნდის ბორუსიასა და სევილიას სურდათ.

– კვამლი ცეცხლის გარეშე არ ჩნდება, მაგრამ გერმანიიდან არავინ დამკავშირებია. მაქვს კონტრაქტი რუბინთან და ეს ჩემი მეორე სახლია. პირველი კი საქართველოა. რუბინმა მომცა ყველაფერი და მისთვის ყველაფერს ვაკეთებ. ახლა ვარ გუნდთან ერთად და, თუ ვინმე მართლაც არის დაინტერესებული, ჩვენ ვისაუბრებთ, მაგრამ ახალი არაფერია.

– თქვენ გარდა რუბინში კიდევ 1 ქართველი მცველი მამუკა კობახიძე თამაშობს. გაქვს მასთან ურთიერთობა?

– რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია. მამუკა ჩემი ქალიშვილის ნათლიაა, ის ჩემი ახლო მეგობარია, ამჟამად მორდოვიაშია განათხოვრებული, თუმცა მას ცენტრში არასდროს უთამაშია. მისი ადგილი ფლანგებზეა.

– გუნდში საბას რატომ გეძახიან?

– ეს ჩემი ნათლობის სახელია. ასე არა მხოლოდ გუნდში, არამედ ოჯახშიც მომმართავენ. დედ-მამა, მეუღლე... – ყველა საბას მეძახის.

– როდესაც სახლში ხართ, ყაზანში ჩვეულებრივ მოძრაობთ?

– ჭიქა ღვინო, საჩუქრები კლუბის მოსამსახურე პერსონალს. ყაზანში ყველაფერია, ქართული სამზარეულოც, სადაც ყველაფერი კარგია.

– ვინ არის რუბინის მთავარი მასხარა, რიჟიკოვი თუ კვერკველია?

– ყველა ერთად! გუნდის ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია ისე იხუმროს, რომ ყველა აგიყოლიოს. აქ ყველა ერთი ოჯახივით ვართ. თუ ვინმეს დაბადების დღე აქვს, ყველა ერთად აღვნიშნავთ.

– ვინ არის გუნდის მთავარი მუსიკოსი?

– ოჰ, ეს დიჯეი კამბოლოვია. მან იცის სიმღერები რუსულ, ინგლისურ და ქართულ ენაზე. როდესაც ბაზაზე ხმამაღლა ისმის სიმღერა, ნიშნავს იმას, რომ კამბოლოვი მოვიდა, ხოლო ბაზის დადუმება კამბოლოვის წასვლას გვაუწყებს.

– ევროპის რომელ ჩემპიონატში გსურთ გადასვლა?

– იტალიაში ან ინგლისში. მომწონს იუვენტუსი, პრემიერ ლიგაში მანჩესტერია საინტერესო, თუმცა ბოლო დროს მისი თამაში საკმაოდ მოსაწყენი გახდა.

– მათ კარგი ცენტრალური მცველი არ ჰყავთ.

– ფერგიუსონის დროს მანჩესტერის დაცვის ხაზში სრული წესრიგი იყო.

– გყავთ საფეხბურთო კერპი?

– პაოლო მალდინი. ის არის დიდი პიროვნება, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთაც. მალდინი დიდი კაპიტანია.

– მოქმედი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

– რა თქმა უნდა, ლიონელ მესისა და კრიშტიანუ რონალდუს. ჩემი პოზიციიდან გამომდინარე – სერხიო რამოსს. ის დიდი ფეხბურთელი და გუნდის ლიდერია. მისი კარიერიდან დასამახსოვრებელია ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბოლო წუთზე გატანილი გოლი ატლეტიკოს კარში.

– ხართ თუ არა მორწმუნე?

– 100 პროცენტით. დედაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა – არავის არაფერი დაუშავო და არ იფიქრო, რომ შენს ქმედებებს ვერავინ ხედავს. ის თითქმის ყოველდღე დადის ეკლესიაში და მისგან მივიღე რელიგიის რწმენა. ყოველდღე უნდა ილოცო, მადლობა გადაუხადო ღმერთს, რომ თამაში ტრავმის გარეშე დავასრულე. დიახ, მე მჯერა ღმერთის.

– გახდა თქვენი ცხოვრება უფრო ძლიერი ქალიშვილის შეძენის შემდეგ?

– ქალიშვილი – ეს განსაკუთრებულია! როცა მეუღლე ორსულად იყო, მე ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი იმას, თუ რა მელოდა წინ. როდესაც გოგო შეგვეძინა, მაშინაც ვერ გავაცნობიერე ეს ყველაფერი, ვიცოდი, რომ ის ჩემი შვილი იყო და მე მამამისი ვარ, მაგრამ ისე ვერ ვგრძნობდი, როგორც ახლა. ახლა ის გაიზარდა და მალე ერთი წლის გახდება. როცა სახლში ცუდ ხასიათზე მივდივარ, ვხედავ, როგორ დახვედრას მიწყობს. ეს დაუჯერებელი გრძნობაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ვინ არის ბარნი სანდერსი?

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ნიუ-ჰემპშირის შტატში პრაიმერიზში დემოკრატებს შორის ბარნი სანდერსმა გაიმარჯვა.

ბარნი სანდერსი 1941 წელს ბრუკლინში ღარიბ ებრაულ ოჯახში დაიბადა. ერთ ხანს ბრუკლინის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ ჩიკაგოს უნივერსიტეტში გადავიდა. უნივერსიტეტში სწავლის დროს სოციალისტურ მოძრაობაში მონაწილეობდა, შემდეგ მარტინ ლუთერ კინგის მომხრე გახდა. სანდერსი მონაწილეობდა 1971 წლის ცნობილ „სამშვიდობო მარშში“. შემდგომში დემოკრატიული პარტიის წევრებს დაუახლოვდა. სანდერსი ოფიციალურად პარტიის წევრი დღემდე არ გამხდარა, თუმცა ახლო ურთიერთობა აქვს დემოკრატების მემარცხენე ფრთის წევრებთან, რომლებიც თავს სოციალისტებს უწოდებენ.

დიდ პოლიტიკაში სანდერსი 1981 წელს მოვიდა. მაშინ დემოკრატების მემარცხენე ფრთის დახმარებით ქალაქ ბერმინგტონში მერად აირჩიეს. სანდერსმა სახელი გაითქვა იმით, რომ თაფლობის თვე რუსეთში, იაროსლავლის მახლობლად გაატარა. იაროსლავლი და ბერმინგტონი დაძმობილებულ ქალაქებს წარმოადგენდნენ. სანდერსი ასევე აქტიურად გამოვიდა იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც რეიგანი ნიკარაგუის წინააღმდეგ აწარმოებდა. ის ხმამაღლა აცხადებდა, რომ ნიკარაგუელი პარტიზანები (კონტრასი) არა თავისუფლებისათვის მებრძოლნი, არამედ მკვლელები და ბანდიტები არიან. სანდერსი მანაგუაში ჩავიდა, რათა სანდინისტების ლიდერ დანიელ ორტეგასთვის სოლიდარობა გამოეცხადებინა.

ბარნი სანდერსი პირველი დამოუკიდებელ კანდიდატია, რომელიც პრეზიდენტობაზე რეალურად აცხადებს პრეტენზიას.

სანდერსი საშუალო ფენის ინტერესებს არ გამოხატავს. ის უფრო მუშებისა და ღარიბების ინტერესების გამომხატველია.

ზოგიერთი ექსპერტი მას პრორუსულ სიმპათიებს სდებს ბრალად. დამამტკიცებელ საბუთად რეიგანის კრიტიკა და რუსეთში თაფლობის თვის გატარება მოჰყავთ. ამიტომ ყველამ გაიოცა, როცა სანდერსმა ყირიმის ანექსიის გამო რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას მხარი დაუჭირა.

– რუსეთმა სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის ანექსია მოახდინა! ამისი დაუსჯელად დატოვება არ შეიძლება! – თქვა სანდერსმა.

დონბასში ომის დაწყების შემდეგ აშშ-მ რუსეთის მიმართ სანქციები გაამკაცრა. სანდერსმა ამას ამჯერადაც მხარი დაუჭირა. მისი პოზიცია მტკიცეა: დონბასის კონფლიქტი დიპლომატიური მეთოდებით უნდა გადაწყდეს, მაგრამ, სანამ რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს, მის მიმართ სანქციები ძალაში დარჩება.

ნიუ-ჰემპშირში გამარჯვების მიუხედავად, ექსპერტები სანდერსის შანსებს სკეპტიკურად აფასებენ.

ნიკა თევზაძე

ალეპოსთან უკვე 500-მდე ადამიანი დაიღუპა

დიქტატორ ასადის არმია ალეპოზე იერიშს განაგრძობს, რუსული ავიაცია კი სირიულ სოფლებს ბომბავს. „დოიჩე ველეს“ ცნობით, ალეპოსთან უკვე 500-მდე ადამიანი დაიღუპა.

– რუსეთს მოვუწოდებ, დაბომბვები დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ ჰუმანიტარულ საკითხებში ბრაიენმა განაცხადა, რომ ალეპოსთან ნამდვილი ჰუმანიტარული კატასტროფაა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ კი აღნიშნა:

– რუსეთმა დაბომბვები დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს!

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით არც რუსული დაბომბვები, არც ასადის არმიის შეტევა არ წყდება.

ამასობაში რუსული ავიაციის მხარდაჭერით ქურთმა მებრძოლებმა ალეპოს მახლობლად სტრატეგიული ავიაბაზა დაიკავეს.

ნატო აღმოსავლეთ ევროპაში პოზიციებს აძლიერებს

ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გეგმას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ჯარების გაძლიერებას ითვალისწინებს.

საუბარია აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, რომლებიც ნატოს სუსტ ფლანგად ითვლებიან.

– აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ჯარების გაძლიერება (აქ 1.000-მდე ჯარისკაცის განლაგებაა დაგეგმილი) წარმოადგენს სიგნალს რუსეთისთვის, რათა თავის აგრესიულ გეგმებზე უარი თქვას, – აცხადებს ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი.

აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკელი, ინგლისელი და გერმანელი ჯარისკაცების განლაგებაა დაგეგმილი. ისინი საკმარისად იქნებიან აღჭურვილნი, რომ რუსეთის ნებისმიერ ქმედებას საკადრისი პასუხი გასცენ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თანამდებობას ტოვებს

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორან ფაბიუსი თანამდებობას ტოვებს.

ფაბიუსმა ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ 2017 წლის არჩევნების წინ პრეზიდენტი ოლანდი თავისი გუნდის ძირეულ გადახალისებას აპირებს.

– დაგეგმილია საკადრო ცვლილებები. ამის თაობაზე უკვე ამ კვირის ბოლოს გამოაცხადებენ, – თქვა ფაბიუსმა.

მინისტრმა თავისი გადადგომა სწორედ მთავრობის გადახალისებას დაუკავშირა. ამას გარდა, მან თქვა, რომ არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ტერორიზმში მხილებულ პირებს საფრანგეთის მოქალაქეობა ჩამოერთმევათ.

– მეც თანამდებობის დატოვება გადავწყვიტე, – ამბობს ფაბიუსი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ასტროპროგნოზი

12 თებერვლისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური მუშაობისათვის, ასევე აქტიური დასვენებისა და სუფთა ჰაერზე გასეირნებისათვის, ფიზიკური დატვირთვისათვის. ახლო ნათესავების პრობლემების მოგვარება, სავარაუდოდ, თქვენ დაგეკისრებათ. **კურო** – წადით საყიდლებზე. ვარსკვლავები გწყალობენ. ფულს შოულობთ. **ტყუპები** – დაბნეულობისა და საკუთარი რწმენის უქონლობის გამო მცირე გაუგებრობაში აღმოჩნდებით. მომავალი თამამად დაგეგმეთ. **კირჩხიბი** – დღეს საშუალება გეძლევათ, პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები წარმატებით მოაგვაროთ. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – პარტნიორის მიმართ მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეთ. თქვენი მეგობრული ურთიერთობა გრძნობების სიღრმეს სულაც არ ნიშნავს. **ქალწული** – დაქვეითებული სასიცოცხლო პოტენციალი თქვენს შრომისუნარიანობაზეც აისახება. გამორიცხული არ არის მცირე გაუგებრობა. **სასწორი** – საყიდლებზე წასასვლელად, ძვირფასი ნივთების შესაძენად კეთილისმყოფელი დღეა. ენერგიულად ხართ და ეს თქვენი შრომის შედეგზეც აისახება. **ღრიანკალი** – ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად შესაფერისი პერიოდია, თუმცა საამისოდ საკმაო სულიერი და მატერიალური ძალისხმევა დაგჭირდებათ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. გარისკვას წარმატება მოჰყვება. სამსახურში წინსვლა გელით. **თხის რქა** – დღის განრიგი წინასწარვე შეადგინეთ, რათა მოულოდნელად გაუგებრობამ არ იჩინოს თავი. დაქვეითებული სასიცოცხლო პოტენციალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში ხელს შეგიშლით. **მერწყული** – სიყვარულში წარმატება გელით. ოჯახური ურთიერთობა ჰარმონიულია. ქალებს ახალი საინტერესო ნაცნობობა ცხოვრებას გაგიხალისებთ. **თევზები** – წარუმატებლობა მალევე დაივიწყეთ. რეკომენდებულია აქტიური დასვენება. პროფესიონალური პრობლემები დროებით გვერდზე გადადეთ და თავს მოდუნების საშუალება მიეცით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; 2. სარეკლამო ლოზუნგი; 3. კვების გარკვეული რეჟიმი; 4. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 5. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ესპანელი მწერალი; 12. ველური ვაზი; 15. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 16. ქართული ტელეკომპანია; 17. სხეულის წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 20. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

თარაზულად: 6. განდიდების მანია; 7. დარბაზის ფეხბურთი; 8. უდაბნო ჩილეში; 9. ყაზახეთის დედაქალაქი; 13. იაპონური ბრინჯის არაყი; 14. მეფის მრჩეველი ძველად; 18. მყვინთავთა ჰერმეტული კოსტუმი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 21. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური შარი; 22. ებრაული წესით დამზადებული ღვინო; 23. მე-11 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი კასპის რაიონში; 24. მეცნიერული ნაშრომი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ანანური; 2. უკრაინა; 3. ჰიუსტონი; 4. კაკაჩი; 5. სოინარი; 8. მარტელი; 9. იოსემიტე; 12. დეპარდიე; 13. ფსირცხა; 16. ვერდიქტი; 17. იაგუარი; 19. ანყური; 20. სულორი.

თარაზულად: 6. ანტიკვარი; 7. ლაქტოზა; 8. მესტია; 10. პუბლიკა; 11. საბო; 14. არსენალი; 15. სპინინგი; 18. თეორია; 21. წახნაგი; 22. სუფსა; 23. ივრითი; 24. ციხისძირი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფუკუსიმა; 2. გულჩორა; 3. უნაბი; 4. გუდვილი; 5. კოპტები; 10. მოძახილი; 11. ხარისთვალა; 12. ესკადრა; 15. კლეპსიდრა; 16. სპაზმი; 17. ქორწილი; 20. სარკე.

თარაზულად: 6. წუღრუღაშენი; 7. ჰუდზონი; 8. ბაიდენი; 9. წიქარა; 13. კინო; 14. კაზუსი; 18. ბანდეროლი; 19. ფობია; 21. მარსი; 22. დინასი; 23. სირაჯხანა; 24. სპარსეთი.

განცხადებები

მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ –ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის,ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასაღევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ელისო ბოლქვაძემ ფესტივალის პრეზენტაცია ბრიუსელში გამართა

მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ თავის მიერ ბათუმში დაარსებული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის პრეზენტაცია ბრიუსელში გამართა. პრეზენტაციას ბრიუსელში ევროპარლამენტის წარმომადგენლები და აჭარის მთავრობის დელეგაცია ესწრებოდნენ.

იუნესკოს მშვიდობის არტისტმა ბათუმის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ევროპული ფესტივალების ასოციაციის ოფისში შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა.

ელისო ბოლქვაძის თქმით, წლევანდელი ფესტივალი კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს. მასში მონაწილეობას მიიღებენ მუსიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ფესტივალის შესახებ ფილმის გადაღებას გეგმავს ფრანგული არხი „მეცო“.

– ჩვენ მიერ დაარსებული ფესტივალის მიმართ ძალიან დიდი ყურადღებაა. ეს ფესტივალის განვითარებაზე მეტყველებს. ჩვენ ნელ-ნელა ვუახლოვდებით ევროპულ ღირებულებებს და ევროპაში აღიარებული საერთაშორისო ფესტივალების სიმაღლისკენ მივიწევთ, – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

დავით თორაძის „გორდა“ ბრუნდება

დავით თორაძის ბალეტი „გორდა“ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ქართული საბალეტო დასის რეპერტუარში ბრუნდება. ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმული ბალეტი წლების შემდეგ მოცეკვავე ზურაბ კიკალიშვილმა აღადგინა, ახლა კი მისი მესამედ გაცოცხლება ნინო ანანიაშვილმა ისურვა, რომელიც ბალეტის ახალი ქოროგრაფიული ვერსიისა და ლიბრეტოს ავტორია.

დავით თორაძის ბალეტი „გორდა“ ვახტანგ ჭაბუკიანმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1949 წელს დადგა. მთავარ როლს ამ ბალეტში ლეგენდარული მოცეკვავე და ქოროგრაფი თავად ასრულებდა. 1996 წელს „გორდა“ ბალეტმეისტერისა და ქოროგრაფის ზურაბ კიკალეიშვილის მიერ აღდგა. „გორდა“ თეატრის რეპერტუარში ათეული წლების განმავლობაში იყო წარმოდგენილი.

ნინო ანანიაშვილმა „გორდას“ დადგმაზე საბალეტო დასის მთელ კოლექტივთან და პედაგოგ-რეპეტიტორებთან ერთად იმუშავა. „გორდას“ დეკორაციები მხატვარ დავით მონავარდისაშვილს ეკუთვნის, კოსტიუმები – ანა კალატოზიშვილს, ბალეტის მუსიკალური ხელმძღვანელი კი დირიჟორი რევაზ ტაკიძეა. განახლებულ „გორდას“ მაყურებელი პირველად 12 თებერვალს იხილავს. თეატრის ფოიეში გამოიფინება ექსპონატები, რომლებიც ბალეტ „გორდას“ ისტორიას ასახავს.

19 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრში ბალეტის საღამო გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი, მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი ალექსანდრ ვოლჩკოვი, ბალეტის ვარსკვლავები და საქართველოს სახელმწიფო ბალეტი. წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ბალეტები „ლეა“ და „საგალობელი“. საღამოს კახი სოლომნიშვილი უდირიჟორებს.

საქართველო ბერლინის კინოფესტივალზეა

საქართველო ბერლინის 66-ე საერთაშორისო კინოფესტივალზეა. ეროვნული კინოცენტრი ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალთან უკვე 11 წელია თანამშრომლობს.

– სამთავრობო პროგრამის ახალი კომპონენტი „გადაიღე საქართველოში“ და ქვეყანაში ახალი საშეღავათო სისტემის დანერგვა ქართული კინოსექტორისთვის ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი სიახლეა. ეს პროგრამა ხელს შეუწყობს ეროვნული ფილმწარმოების განვითარებას, უცხოელი კინომწარმოებლების მოზიდვას და საქართველოს კიდევ უფრო მიმზიდველ გადასაღებ ლოკაციად აქცევს, ამიტომ წელს ქართულ სტენდზე აქცენტი სწორედ ამ თემებზე გაკეთდება, – აცხადებს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იქნება ახალი ქართული ფილმების კატალოგი, წარმოების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი პროექტების კატალოგი, ქართული ფილმების ტრეილერებისა და მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმების დისკები, ეროვნული კინოცენტრის საინფორმაციო ბროშურები.

კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართება ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობა, რომელიც 14-16 თებერვალს მსოფლიოს 29 ქვეყნიდან 36 ახალ კინოპროექტს უმასპინძლებს. მათ შორის არის რეზო გიგინეიშვილის კინოპროექტი „მძევლები“, რომელიც საქართველო-რუსეთის კოპროდუქცია და ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია.

კოპროდუქციის მარკეტზე კიდევ ერთი ქართველი, ნინო ხარატიშვილი მიიღებს მონაწილეობას. ნინო კინოპროდიუსერებს თავის წიგნს „მერვე სიცოცხლეს“ წარუდგენს.

ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობაზე პროდიუსერებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაინტერესონ მსოფლიო კინოინდუსტრიის გავლენიანი წარმომადგენლები და მათ თავიანთი პროექტები წარუდგინონ.

2013 წელს, პირველად დიდი პაუზის შემდეგ, ბერლინალეზე მოხვდა 2 ქართული ფილმი: ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“ და ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი“. ქართულ ფილმებს ბერლინში დიდი წარმატება ხვდა წილად. მომდევნო წელს სხვადასხვა სექციაში მოხვდა ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“ და თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“. ბერლინალეს ისტორიის განმავლობაში ფესტივალზე სულ 15-მდე ქართულ ფილმს აქვს მონაწილეობა მიღებული.

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კინოფესტივალზე პირველად გიორგი შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ იყო მთავარი საკონკურსო პროგრამის მონაწილე და ვერცხლის დათვიც მოიპოვა, რასაც მოჰყვა მიხეილ კალატოზიშვილის „რჩეული“ და თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“, რომელიც ასევე საუკეთესო რეჟისურისთვის ვერცხლის დათვით დაჯილდოვდა. ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთების“ პირველი საერთაშორისო ჩვენება სწორედ ბერლინის კინოფესტივალის პროგრამა „პანორამაში“ შედგა.

რამდენიმე თვის წინ საქართველოში ბერლინალეს დირექტორი დიტერ კოსლიკიც იმყოფებოდა საქართველოში კავკასიის რეგიონის სელექტორ ნიკოლაი ნიკიტინთან ერთად. დიტერ კოსლიკმა თავად გამოთქვა სურვილი, ენახა საქართველო, გასცნობოდა ადგილობრივ კულტურას, გასაუბრებოდა სახელმწიფო პირებსა და კინოსექტორის წარმომადგენლებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

ვულოცავთ!

ჩვენი ქვეყნის პედაგოგთა ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, ღირსების ორდენისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის კავალერს, მთავრობისა და განათლების სფეროს ხელმძღვანელ მუშაკთა არაერთი წამახალისებელი ჯილდოსა და სიგელის მფლობელს და, რაც მთავარია, ათეული თაობისა და რამდენიმე ათასი ახალგაზრდის აღმზრდელს, ყველასათვის პატივცემულ პიროვნებას, ქალბატონ

ცისანა ჭაბუკიანს

დაბადებიდან 85 წელი უსრულდება

ქალბატონი ცისანა ჭაბუკიანი ნახევარ საუკუნეზე მეტი ეწეოდა პედაგოგის საპატიო საქმიანობას. მაღალკვალიფიციური პედაგოგისა და აღმზრდელის უნარით, ორგანიზატორობის უნიკალური ნიჭით, სამართლიანობის, პრინციპულობისა და უანგარობის გამოხატულებით მან არა მარტო რამდენიმე ათასი აღზრდილის, არამედ საყოველთაო სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა.

ქალბატონი ცისანა დაიბადა 1931 წლის 12 თებერვალს ქალაქ ქუთაისში, პედაგოგთა ოჯახში. 1955 წელს, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სოფელ მეორე სვირის სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად.

ქალბატონი ცისანა თავის მეუღლესთან (აწ განსვენებულ ბატონ შოთა კოხრეიძესთან) ერთად ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იყო სოფელ მეორე სვირში მოქმედი ახალი №1 საშუალო სკოლის აშენებისა, სადაც თვითონაც აგრძელებდა აქტიურ პედაგოგიურ და აღმზრდელობით საქმიანობას 2010 წლის ჩათვლით, ხოლო შემდეგ საკუთარი სურვილით ასპარეზი ახალგაზრდა თაობას დაუთმო, თუმცა სკოლის გარეთაც არ წყვეტს თავის უანგარო საქმიანობას ახალგაზრდა თაობის აღზრდის, თანადგომისა და მხარდაჭერის მხრივ.

მისი უანგარობის, თავმდაბლობისა და მოკრძალების პრინციპები კიდევ ერთხელ დადასტურდა რამდენიმე დღის წინაც, როდესაც სოფელმა მისი დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით მორიგ სახელმწიფო ჯილდოზე და სკოლაზე, სადაც ის თითქმის მთელი ცხოვრება მოღვაწეობდა, მისი სახელის მინიჭების მიზნით შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისამართით შუამდგომლობაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო და 60-ზე მეტი ხელმოწერის შემდეგ მანაც შეიტყო ამის თაობაზე და მისივე მოთხოვნით შეგვაწყვეტინა პროცესი იმ მოტივით, იქნებ მომავალში ჩემზე უფრო დამსახურებული პიროვნება გამოუჩნდეს სოფელს... არადა, ღირსეული ადამიანებისათვის სათანადო პატივის მიგება საშური და აუცილებელი საქმეა. ის დიდი აღმზრდელობითი მუხტის მატარებელი და სტიმულის მიმცემია მომავალი თაობისათვის, რაც, ვფიქრობთ, შესაბამისი სამთავრობო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ინტერესებშიც შედის.

კეთილი საქმიანობისათვის ღირსეული ადამიანისთვის მადლიერების გამოხატვის უნარი უპირველესი ქრისტიანული მოვალეობაა და ამ მხრივ ქალბატონ ცისანას მართლაც რომ უამრავი მადლიერი და მადლობის გამომხატველი აღზრდილი, მშობელი და კოლეგა ჰყავს. ჩვენც ვუერთდებით მათ სულისკვეთებას და გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ცისანას მის მიერ გაწეული უანგარო მიზანმიმართული და სასარგებლო საქმიანობისათვის, იმისათვისაც, რომ, ცხოვრების დაძაბული რიტმის მიუხედავად, ის კვლავ ძალზე მხნედ გამოიყურება და არ ღალატობს თავის ტრადიციებს.

ვულოცავთ მას დაბადებიდან 85 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ყოველივე სიკეთეს თავისი შვილების, შვილიშვილების, აღზრდილებისა და ათასობით მოყვასის გულის გასახარად.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, აღზრდილები და კოლეგები

პროგრამა

პარასკევი
12 თებერვალი

06.30 მუსიკა I არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის საბაბატო"** **12.30** "ადამიანი კამერით" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "წიგნების თარო" (კვირის/გ/ჩვ) **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ქესლი"** **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" **21.30** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის საბაბატო"** **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ **"ბოლეინის კიდევ ერთი ასული"** (ს.იოჰანსონი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. **"ორი გედი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. **"ოცი წუთი"** **11.20** სერ. **"დახურული სკოლა"** **5** სერ. **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. **"თანხმობა"** **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ **"იუვას მატარებელი"** (რ ქროუ) **01.50** მხ/ფ **"თითქმის გათხოვილი"** **03.20** მხ/ფ **"ახალშობილი"** (ს.მაკინტოში) **05.00** ერთხელ საქართველოში **05.35** მხ/ფ **"ფართო ნაბიჯით"** (დ.ჯონსონი) (ტიტ.)

06.30 სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საბა"** **18.45** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **19.45, 20.05** სერ. **"აღთქმა"** **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30, 01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **09.00, 15.30** Discovery ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **10.00** ან/სერ. **"აპატარი ლეგენდა აანგის შესახებ"** **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. **"ახალი გოგო"**. სეზ. **4,** სერ. **17, 18. 15.00, 19.30** სერ. **"ცენტრი"** სეზ. **4,** სერ. **17, 18. 16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები"** **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მხ/ფ **"უკიდურესი ზომები"** **00.10 ID Extra** სასჯელს თითქმის გავექეცი **01.10, 03.00 URBAN STORIES 02.00,** ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "უინძორთა სასახლე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** მოკ. მხ/ფ **"აღგილის დედა"** **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** მსოფლიო ხალხთა ზღაპრები-"რატომ აქვს კუს დაბზარული ბაკანი" **15.40** კონცერტი **16.35** მიწათმოქმედი "ნიადაგი და თესლი" **17.00** დ/ფ "სამეგრელო-გორდის მღვიმე" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ფინდი "წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. ათანასე დიდი" **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სვანეთი-ფესვთა ღაღადი" II ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ლურჯი მონასტერი" **00.35** დ/ფ "მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. **"სხვისი სხეული"** **11.05** სერ. **"ქუჩები და გუნები"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.30** სერ. **"კარმელიტა"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 3.00** სერ. სერ. **"ბერძენი ქალი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. **"ბჯერროდს"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 თებერვლისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4816	ევრო — 2.792
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5998	100 რუსული რუბლი — 3.1509

ამინდის პროგნოზი 12 თებერვლისთვის

კალეიდოსკოპი

ფუმფულა ტანის მოდელს სპორტული ჟურნალისთვის გადაიღებენ

ამერიკელი მოდელი, ეშლი გრეიამი, რომელიც 50 ზომის ტანსაცმელს უკეთებს რეკლამას, ფორმატ პლუს-საიზის პირველი მანეკენი იქნება, რომელსაც ჟურნალ სპორტს ილუსტრეიდისთვის გადაიღებენ. ამის შესახებ გრეიამმა ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში დაწერა.

ონლაინ-ხმის მიცემის შედეგებით გრეიამი კონკურსის ხუთი გამარჯვებულიდან ერთერთი გახდა, რომლებიც გამოცემის მოდელები გახდებიან.

– ახლა უკვე მე სპორტს ილუსტრეიდის ოფიციალური მოდელი ვარ. ჩემი ოცნება ასრულდა, – დაწერა სოციალურ ქსელში 28 წლის ეშლიმ. გოგონამ ასევე მადლობა გადაუხადა თავის თაყვანისმცემლებს მხარდაჭერისთვის.

გრეიამის აკაუნტს ინსტაგრამში მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.



16 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

ლუის სუარესი
ზღვარს მიღმა. ჩემი ამბავი

ბარსელონის სუპერფორვარდი ლუის სუარესი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია.

წიგნში „ზღვარს მიღმა“ ლუის სუარესი გულწრფელად საუბრობს თავისი დამაინტრიგებელი კარიერის, ყოვლად გამოუსადეგარი ქუჩის ბიჭობიდან დიდ სცენაზე მოთამაშე ფეხბურთელად ჩამოყალიბებისა და იმ შეგრძნების შესახებ, რაც თითქოს აიძულებს, რომ ზღვარს გადააბიჯოს.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

მადონა საქორწინო ფატაში გაიბლანდა



ცნობილი მომღერალი მადონა ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გამოსვლის დროს ფატაში გაიბლანდა.

57 წლის ამერიკელ ვარსკვლავს გრძელ საქორწინო ფატა ეკეთა, რომლის ბოლოებიც მის უკან მომავალ მოცეკვავეებს ეჭირათ. სავარაუდოდ, ნომრის მონაწილეებს ქსოვილი უნდა ჩამოეხსნათ მომღერლის თავიდან, რის შემდეგაც მადონა გამოსვლას გააგრძელებდა, მაგრამ ფატა გაიჭედა, რის გამოც მომღერალმა მისგან თავის დაღწევა რამდენიმე წამის განმავლობაში ვერ მოახერხა. მომხდარი ვიდეოზე იქნა გადაღებული.

ეს არ არის პირველი ინციდენტი, რომელიც მომღერალს სცენაზე საცეკვაო ნომრის დროს შეემთხვა. 2015 წლის 25 თებერვალს ლონდონში დაჯილდოების ცერემონიის დროს მადონა კიბიდან ჩამოვარდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხავიერ ძანეტი: „მესის მსოფლიოს ჩემპიონობა არ სჭირდება“

საფეხბურთო სამყაროში მუდმივად დავობენ, არის თუ არა ბარსელონის არგენტინელი შემტევი ლეო მესი დიადი დიეგო მარადონას ტოლი. უმეტესობის აზრით, მესი მარადონას ვერ გაუტოლდება, რადგან მას მოგებული არ აქვს მსოფლიოს ჩემპიონატი.

მუნდიალის მოგებასთან მესი ყველაზე ახლოს 2014 წელს იყო, როცა მან არგენტინა ფინალში გაიყვანა, გერმანიასთან დამარცხდა და ისევ უმთავრესი ტიტულის გარეშე დარჩა. თუმცა, ეს სულაც არ უშლის ხელს, დღეისათვის საუკეთესო ფეხბურთელი იყოს.

ამასვე ფიქრობს არგენტინის ნაკრებისა და მილანის ინტერის ლეგენდა ხავიერ ძანეტი, რომელიც თავის მოსაზრებას აფიქსირებს მესისთან დაკავშირებით.

ხავიერ ძანეტი:

– მესი თუ მარადონა? მესისა და მარადონას შედარებებით გაოგნებული ვარ. ვფიქრობ, დიეგო უნიკალური იყო, ხოლო მესი უნიკალურ რაღაცებს აკეთებს. რას ვიტყვი მესიზე? ესაა ბიჭი, რომელსაც მოგებული აქვს 5 ოქროს ბურთი, 4 ჩემპიონთა ლიგა და წელიწადში 97 გოლს იტანს. მას არ სჭირდება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, რომ მის ნიჭიერებაში დარწმუნებულნი ვიყოთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სოლომონ კვერკველია: „ჩემი პირველი სახლი საქართველოა“

საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის რუბინის მცველი სოლომონ კვერკველია 2014 წელს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. იმავე ნომინაციის 3 საუკეთესო ფეხბურთელს შორის იყო 2015 წელსაც, მაგრამ ამჯერად ეროვნული გუნდის კაპიტან ჯაბა კანკავას ვერ აჯობა, თუმცა ზამთრის პაუზამდე რუბინის ლიდერი და ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფეხბურთელი იყო.

ქართველმა ფეხბურთელმა რუსულ მედიასთან ისაუბრა.

– 18 წლის იყავით, როდესაც რუსეთში ჩამოხვედით?

– მანამდე თურქეთში ვიყავი დონეცკის შახტარის შეკრებაზე. 3 დღე ვემზადებოდით, მაგრამ გამომიცხადეს, რომ გუნდში ვერ ამიყვანდნენ. იმავე სასტუმროში სანკტ-პეტერბურგის ზენიტიც იყო, რომლის მაშინდელი მწვრთნელი ანატოლი დავიდოვი ჩემი აგენტის ახლო მეგობარია. სპარინგ-მატჩში მივიღე მონაწილეობა, მოვეწონე და ზენიტში 6-თვიანი ხელშეკრულება გამიფორმეს.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

იუმორი

ქმარი დილით მაგარ „პახმელიაზეა“, ცოლი ეუბნება:

– გინდა ცივი ბორჯომი მოგიტანო?

– არა, არ მინდა.

– იქნებ ცივი კომპოტი გინდა?

– არ მინდა.

– კიტრის მწნილი ხომ არ გესიამოვნება?

– არა, ქალო.

– ხომ არ გავიხადო?

– გაიხადე, მაგის დედაც ვატირე, იქნებ გული ამერიოს...

●●●

ქმარი ამთქნარებს და ამ დროს ცოლი ეუბნება:

– კაცო, პირი მაინც ღია გაქვს და ბარემ ჩვენ ბიჭს გადასძახე, პური წამოიღოს.

●●●

კაცს გაუპატიურებაზე ასამართლებენ და მოსამართლე ეუბნება:

– აბა, მოყევი, როგორ იყო საქმე...

– ბატონო მოსამართლევ, ჩემთვის ვიწექი, ეგ ქალი ჩემი მეზობელია და თვითონ შემოვიდა ჩემთან ტიტლიკანა და გვერდით მომიწვა...

– მერე თქვენ იგნორირება არ გაუკეთეთ?

– როგორ არა ბატონო მოსამართლევ, გავუკეთე იგნორირება, როგორ არ გავუკეთე.

– და მერე რა მოხდა?

– მერე, ბატონო მოსამართლევ, გადმოვატრიალე და კიდევ ერთხელ გავუკეთე იგნორირება...

●●●

სტუმრად ჩასულ მეგობარს მასპინძელმა სუფრა გაუშალა. სტუმარს განსაკუთრებით „ხალადეცი“ მოეწონა. გადაიღო ერთი ნაჭერი, მეორე, მესამე... სადაც შავი პილპილის მარცვლები შეხვდა, აიღო, ხელსახოცში შეახვია და ჯიბეში ჩაიდო. წასვლისას მასპინძელი ეუბნება:

– შეგამჩნიე, რომ „ხალადეცი“ ძალიან მოგეწონა, აი გაგიმზადე და გაგატან...

– არა, რად მინდა, აგერ თესლი მიმაქვს...

●●●

სახლში დაბრუნებულმა კაცმა თავის კომპიუტერთან მჯდომი სიდედრი დაინახა და ჩაილაპარაკა:

– ჩემ კომპიუტერს ასეთი ვირუსი ჯერ არ ჰქონია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ›



შვეულად: 1. მოხალისეთა ჯარი; 2. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. პატარა, ხუჭუჭბეწვიანი დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. მართლმადიდებელთა წმინდა წიგნი; 12. სამხრეთ აფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. ხეხილის ბაღი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. სუპერმარკეტი თბილისში; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

თარაზულად: 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 8. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 11. ძველებური, დაბალყელიანი რბილი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ფულის ერთეული ყაზახეთში; 23. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 24. ჩაის დეგუსტატორი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა